

დამტკიცებულია ქაუ-ს პრეზიდენტის

2014 წლის 6 ნოემბრის № 02-153 ბრძანებით

დანართი 1

მობილობის და კრედიტების აღიარების წესი

თავი პირველი

მობილობა

1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, #10/ნ ბრძანების და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად არეგულირებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სტუდენტთა გადმოსვლის, უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა გადასვლის და კრედიტების აღიარების პროცედურებს;

2. მობილობის პროცესის ადმინისტრირება

- 2.1. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სტუდენტთა გადმოსვლის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი);
- 2.2. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში;
- 2.3. უნივერსიტეტი, მისთვის განსაზღვრული ადგილების საერთო რაოდენობის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე არეგისტრირებს მობილობის ვაკანტურ ადგილებს საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- 2.4. უნივერსიტეტის შიგნით სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემიური პროცესის მართვის სამსახური.

3. მობილობის უფლების წარმოშობა

3.1. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი;

3.2. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მობილობის უფლება ასევე აქვს 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

3.3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

3.4. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში გადმოსვლის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად;

3.5. მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

4. მობილობის მსურველთა რეგისტრაცია

4.1. მობილობის მსურველი რეგისტრირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

4.2. რეგისტრაცია ხორციელდება 11- ნიშნა პირადი ნომრით, რისი შეყვანის შემდეგაც ელექტრონულ პორტალზე აისახება სტუდენტის სტატუსი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

4.3. მობილობის მსურველი თავის ინდივიდუალურ გვერდზე ირჩევს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს ან/და პროგრამას, რომელზეც მობილობის მსურველად რეგისტრაცია სურს. სტუდენტს შეუძლია პრიორიტეტების მიხედვით რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და პროგრამის მითითება.

5. მობილობის უფლების მოპოვება

5.1. თუ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს;

5.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით;

5.3. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე.

6. უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა

6.1. განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნების შემდეგ მობილობის მსურველი განცხადებით მიმართავს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩარიცხვა დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები;

6.2. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე არ მიმართავს განცხადებით მის მიერ დადგენილ ვადაში, კარგავს აღნიშნულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

6.3. უნივერსიტეტი ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

6.4. უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მის მიერ დადგენილ ვადაში, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

6.5. უნივერსიტეტს უფლება აქვს მობილობის წესით ჩარიცხოს მხოლოდ ის სტუდენტები, რომელზეც ცენტრმა გასცა დადებითი დასკვნა;

6.6. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 1 მარტამდე;

6.7. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

7. სტატუსის შეწყვეტა მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული სტუდენტებისათვის

7.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტი გამოსცემს ბრძანებას სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გასცემს ბრძანებიდან ამონაწერს, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტს და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც იგი ჩარიცხვა უნივერსიტეტში;

7.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 7 მარტამდე.

8. შიდა მობილობა

8.1. უნივერსიტეტში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ;

8.2. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს, განცხადებას უნდა ერთვოდეს ნიშნის ფურცელი და პირადობის მოწმობის ასლი. ზემოაღნიშნული დოკუმენტები არ არის საჭირო, თუ სტუდენტი ერთი სკოლის (ფაკულტეტის) ფარგლებში ახორციელებს შიდა მობილობას;

8.3. მიმღების სკოლა (ფაკულტეტის) ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

თავი მეორე

კრედიტების აღიარება

9. კრედიტების აღიარების პრინციპები

- 9.1. უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსულ, უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა და სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა;
- 9.2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 9.3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის;
- 9.4. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
- 9.5. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით;
- 9.6. უნივერსიტეტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიანგარიშებს სტუდენტის დატვირთვას კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

10. კრედიტების აღიარების პროცედურა

- 10.1. კრედიტების აღიარებას ახორციელებს 3 წევრიანი სასკოლო (საფაკულტეტო) კომისია. კომისიაში დაკავებული თანამდებობის მიხედვით შედიან: სკოლის (ფაკულტეტის) დეკანი; ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; სკოლის (ფაკულტეტის) აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი;
- 10.2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. მის მუშაობას უძღვება თავმჯდომარე - სკოლის დეკანი და მდივანი - სკოლის (ფაკულტეტის) აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი. მდივანი აწარმოებს კომისიის სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი;
- 10.3. კომისიის მიერ კრედიტების აღიარების გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით; კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება თითოეულ სტუდენტზე ცალ-ცალკე დასკვნის სახით, ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე;

10.4. კომისია კრედიტების აღიარების დროს ხელმძღვანელობს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სათანადოდ დამოწმებული ნიშნის ფურცლით. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ნიშნის ფურცელში ასახული ინფორმაცია იწვევს ეჭვს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ უღიარებს კრედიტს/კრედიტებს;

10.5. სტუდენტებს უღიარდეთ:

10.5.1. სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კრედიტები სრული მოცულობით;

10.5.2. სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კრედიტები შემდეგი პრინციპით:

10.5.2.1. ზოგადი უნარების განსავითარებელი არჩევითი კრედიტები;

10.5.2.2. სპეციალობის არჩევითი კრედიტები;

10.5.3. თავისუფალი კრედიტები იმ მოცულობით, როგორც არის მოცემული პროგრამაში. თავისუფალი კრედიტების აღიარების დროს კომისია გავლილი სასწავლო კურსებიდან აღიარებს იმ კურსებს, რომელშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს ან სტუდენტის არჩევანის მიხედვით;

10.6. კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს მის ნიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები;

10.7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება მიმდები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება კურსის იმდენ კრედიტად აღიარება რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა;

10.8. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია სასწავლო კურსის სილაბუსის ანალიზის საფუძველზე;

10.9. თუ სტუდენტის მიერ გავლილი უცხო ენის კრედიტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაზე ნაკლებია, უცხო ენის კრედიტების აღიარების საკითხი შეიძლება გადაწყდეს კომისიის გადაწყვეტილებით სტუდენტთან გასაუბრების შედეგად. გასაუბრებას ესწრება კომისიაში მოწვეული ექსპერტი - ენის სპეციალისტი, თუ გასაუბრების შედეგად კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ სტუდენტი ფლობს უნივერსიტეტის უცხო ენის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ენის დონისათვის დამახასიათებელ კომპეტენციებს, სტუდენტს უცხო ენისათვის განკუთვნილი კრედიტები უღიარდება დონის შესაბამისად;

10.10. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სახელწოდება არ ემთხვევა უნივერსიტეტის სასწავლო კურსების დასახელებას, კომისია უფლებამოსილია კურსი უღიაროს უნივერსიტეტის კურსკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე;

10.11. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

- 5 (ფრიადი) – 91 ქულა;
- 4 (კარგი) – 84 ქულა;
- 3 (დამაკმაყოფილებელი) – 71 ქულა;

10.12. თუ სტუდენტს 5 ქულიან სისტემაში მღებული აქვს 'ჩათვლა', კურსის შეფასების აღიარება ხდება 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპით;

10.13. თუ სტუდენტის პირველადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს (ECTS) სისტემისგან განსხვავებულ შეფასების სისტემას, კურსის/კურსების შეფასების საკითხი წყდება კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნული შეფასების სისტემის განმარტებისა ან/და კურსის მოცულობის შესაბამისად;

10.14. აღდგენილი სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში იმჟამად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. სტუდენტს უკეთდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

10.15. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს განესაზღვრება სასწავლო სემესტრი და უკეთდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ამ დროს მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტმა წელიწადში 75 კრედიტზე მეტი არ გაიაროს. სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი სასწავლო სემესტრის გავლა.